ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 30 07 2019 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 282-ნ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 1 ივლისის N10-კ ბრძანების „უნივერსიტეტის რექტორის სერგო ვარდოსანიძის შვებულებისა და მისი დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ"; უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 21-ე მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/2037, 18.07.2019), ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (N1/2070, 23.07.2019) სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისთვის 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დანართი N1-ის შესაბამისად.

2. განისაზღვროს ვადები 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს, ენების ცენტრს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ვაჩაძე

2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ა.ა) სამართალი - 10 ადგილი;
      ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - 10 ადგილი;
      ა.გ) ისტორია - 5 ადგილი;
      ა.დ) ქართული ფილოლოგია - 5 ადგილი;
   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ბ.ა) სამართალი - 5 ადგილი;
      ბ.ბ) საჯარო მმართველობა - 5 ადგილი;

2. ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 20 ადგილი;
      ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - 5 ადგილი;
      ა.გ) ეკონომიკა - 5 ადგილი;
      ა.დ) ფსიქოლოგია - 10 ადგილი;
      ა.ე) კომპიუტერული მეცნიერება - 5 ადგილი;
   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
      ბ.ა) ეკონომიკა - 5 ადგილი;
      ბ.ბ) ბიზნესის ადმინისტრირება - 5 ადგილი;
      ბ.გ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - 10 ადგილი;
      ბ.დ) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება - 42 ადგილი;

შენიშვნა: სწავლის წლიური საფასური ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამართლის და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა შეადგენს **2250 ლარს**, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) სამართალი - **2450 ლარს**;

ბ) საჯარო მმართველობა - **2350 ლარს**.

დანართი N2

2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2019 წლის 29 აგვისტო - 9 სექტემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2019 წლის 2 – 10 სექტემბერი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2019 წლის 3 – 11 სექტემბერიი;

დ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2019 წლის 12 სექტემბერი,

ე) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2019 წლის 13 - 14 სექტემბერი.

შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ოთახი N103);

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული);

გ) 2019 – 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელი (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) დოკუმენტი.